

**საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის  
ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტთა  
სწავლის საფასურის გადახდის წესი**

**მუხლი 1. სწავლის საფასური**

1. სწავლის საფასური არის უნივერსიტეტის ან სახელმწიფოს მიერ დადგენილი ტარიფის შესაბამისი გადასახდელი, რომელსაც სტუდენტი (ან მისი წარმომადგენელი) იხდის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლისათვის.

2. სწავლის საფასური სახელმწიფოს მიერ ანაზღაურდება იმ სტუდენტებისათვის, რომლებიც მოიპოვებენ სახელმწიფო სასწავლო გრანტს, სახელმწიფო სასწავლო სამაგისტო გრანტს ან კულტურის სამინისტროს მიერ გამოყოფილ პროგრამულ დაფინანსებას;

3. ნაწილობრივი სახელმწიფო სასწავლო გრანტის მოპოვების შემთხვევაში სტუდენტი იხდის განსხვავებას სასწავლო გრანტის ღირებულებასა და სწავლის საფასურს შორის.

**მუხლი 2. სწავლის საფასურის გადახდის ფორმა**

1. სწავლის საფასურს იხდის სტუდენტი (ან მისი წარმომადგენელი), ხოლო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო სტუდენტის სწავლის საფასურს ანაზღაურებს დადგენილი წესის შესაბამისად სტუდენტის მიერ მოპოვებული სასწავლო გრანტის პროცენტული ოდენობის მიხედვით.

2. სტუდენტის მიერ სწავლის საფასურის გადახდა ხორციელდება უნივერსიტეტის მომსახურე საბანკო დაწესებულებაში.

3. (ამოღებულია -12.09.2016, №05-01/02).

4. სტუდენტი ვალდებულია სასწავლო პროცესში მონაწილეობის მიღების უფლების მოსაპოვებლად გაიაროს ადმინისტრაციული რეგისტრაცია, რაც გულისხმობს მის მიერ უნივერსიტეტის მომსახურე ბანკში სწავლის საფასურის შეტანასა და დარეგისტრირებას სასწავლო სემესტრის დაწყებამდე.

5. აბიტურიენტი/მაგისტრანტობის ან და მობილობას დაქვემდებარებული კანდიდატი, რომელიც მოიპოვებს სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში სწავლის უფლებას, ვალდებულია სასწავლო წლის დაწყებამდე გაიაროს ადმინისტრაციული რეგისტრაცია.

6. სტუდენტის რეგისტრაციის სხვა პირობები და წესი საჭიროების შემთხვევაში დამატებით განისაზღვრება უნივერსიტეტის აქტით.

**მუხლი 3. სწავლის საფასურის გადახდის საფუძველი**

1. სწავლის საფასურის გადახდის საფუძველია ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტის აქტიური სტატუსის შექმნა და მასთან გაფორმებული ხელშეკრულება. (12.09.2016, №05-01/02)

2. სტუდენტთან გაფორმებულ სასწავლო ხელშეკრულებაში აისახება, რომ სტუდენტის ფინანსური ვალდებულებები განისაზღვრება ამ წესის შესაბამისად.

**მუხლი 4. სტუდენტის ფინანსური ვალდებულებები და სწავლის საფასურის  
გადახდის ვადები**

1. სტუდენტი ვალდებულია დადგენილი წესითა და ვადებში გადაიხადოს უნივერსიტეტის მიერ დადგენილი სწავლის საფასური ან დაფაროს განსხვავება სახელმწიფოს მიერ გამოყოფილ სასწავლო გრანტსა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილ სწავლის საფასურს შორის.

2. სტუდენტმა ყოველი სასწავლო წლისათვის სწავლის საფასური უნდა გადაიხადოს სემესტრულად წლიური სწავლის საფასურის 50%, - 50% ან სურვილის შემთხვევაში მთლიანად დადგენილი ოდენობის შესაბამისად. (12.09.2016, №05-01/02 )

3. გამონაკლის შემთხვევაში დაშვებულია სწავლის საფასურის ეტაპობრივი გადახდა, რექტორის ბრძანებით განსაზღვრული ეტაპების შესაბამისად თუ სტუდენტი გადაიხდის სემესტრული გადასახადის პირველ ეტაპს.

3.1. ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში რექტორის ბრძანებით დგინდება ადმინისტრაციული რეგისტრაციის დრო და პერიოდულობა (ეტაპები). ამასთან სწავლის წლიური საფასურის გადახდის პერიოდულობა არ უნდა აღემატებოდეს სასწავლო წლის განმავლობაში 6 (ექვს) ეტაპს. (12.09.2016, №05-01/02)

3.2. სტუდენტი ყოველ ეტაპზე სწავლის საფასურს იხდის თანაბარწილად წლიური საფასურის მიხედვით. (12.09.2016, №05-01/02 )

4. სასწავლო სემესტრის დაწყებისა და დასრულების პერიოდი განისაზღვრება უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით, რომელიც ქვეყნდება ვებ-გვერდზე.

5. სწავლის საფასურის გადაუხდელობის ან სხვა საფუძვლით სტუდენტის სტატუსის შეწყვეტისას, სტუდენტს გასულ პერიოდში გადახდილი სწავლის საფასური უკან არ დაუბრუნდება;

6. სტუდენტს გადახდილი სწავლის საფასური არ უბრუნდება. ასევე აკადემიური შევებულების აღების შემთხვევაში, თუმცაღა ჩაეთვლება გადახდილად შევებულებიდან დაბრუნების შემდგომ პერიოდში.

7. აღდგენის წესით ჩარიცხვის შემთხვევაში სტუდენტი იხდის მიმდინარე სასწავლო წლისათვის დადგენილ სწავლის საფასურს.

8. პროგრამული დაფინანსების მქონე სტუდენტის სხვა უმაღლეს სასწავლებელში გადასვლის შემთხვევაში, დაფინანსება რჩება უნივერსიტეტს და ვაკანტურ ადგილს ითვისებს აღნიშნულ სპეციალობაზე შემოქმედებით ტურში მიღებული ქულების რეიტინგით მომდევნო სტუდენტი.

9. სტუდენტის მიერ უნივერსიტეტის ანგარიშზე ზედმეტად დარიცხული თანხის უკან დაბრუნება ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ფინანსური ვალდებულებების სრულად შესრულების შემდეგ (საკვალიფიკაციო გამოცდაზე დაშვების შემდეგ) ან/და პროგრამის დასრულებამდე სტუდენტის სტატუსის შეწყვეტისას.

## **მუხლი 5. სწავლის საფასურის გადაუხდელობის შედეგები**

1 თუ სტუდენტი რექტორის ბრძანებით განსაზღვრულ ვადაში არ გაივლის სწავლის საფასურის გადახდის ნებისმიერი ეტაპის ადმინისტრაციულ რეგისტრაციას - არ გადაიხდის იმ ეტაპისათვის განსაზღვრულ სწავლის საფასურის ოდენობას, რეგისტრაციის დასრულებიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღისა შეუჩერდება სტუდენტის სტატუსი.

1.1. სტუდენტს, რომელსაც წარდგენილი აქვს განცხადება სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებებში სწავლის საფასურის დაფინანსების მოპოვების მიზნით, შესაბამისი გადანაცვებილების მიღებამდე არ შეუჩერდება სტუდენტის სტატუსი.

უარყოფითი გადანაცვებილების შემთხვევაში სტუდენტის მიერ სწავლის საფასურის გადაუხდელობის შემთხვევაში ფინანსური დავალიანების გამო სტატუსი შეუჩერდება გადანაცვებილების მიღებიდან 7 კალენდარული დღის შემდეგ. (12.09.2016, №05-01/02)

1.2. ნაწილობრივი სასწავლო ან სამაგისტრო გრანტის მფლობელ პირს ამ გრანტის პროპორციულობის (სამინისტროდან მისაღები თანხის ოდენობის) გათვალისწინებით, მხოლოდ სასწავლო წლის პირველ სემესტრში შეიძლება არ შეუჩერდეს სტუდენტის სტატუსი. (12.09.2016, №05-01/02)

2. თუ აბიტურიენტი ან/და მობილობით გადმოსული სტუდენტი არ გაივლის

ადმინისტრაციულ რეგისტრაციას არ იქნება შეყვანილი რექტორის მიერ გამოცემულ ჩარიცხვის ბრძანებაში.

3. ადმინისტრაციული რეგისტრაციის გაუვლელობის ან/და ფინანსური დავალიანების გამო სტატუს შეჩერებული სტუდენტის უფლებებში აღდგენა (სტუდენტის სტატუსის შეჩერების აქტის ძალადაკარგულად ცნობა) დასაშვებია მხოლოდ შიდა მობილობის პერიოდში სტატუსის შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრის შემთხვევაში.

3.1. სტატუს შეჩერებული სტუდენტის უფლებებში აღდგენა შიდა მობილობის პერიოდში დასაშვებია მხოლოდ სწავლების იმ ეტაპიდან რა ეტაპზეც მოხდა სტატუსის შეჩერება. გარდა მუსიკის ფაკულტეტისა და სამსახიობო სპეციალობის სტუდენტებისა

3.2. მუსიკის ფაკულტეტის სპეციალობებისა და სამსახიობო სპეციალობის სტატუს შეჩერებული სტუდენტების სტუდენტის უფლებებში აღდგენა დასაშვებია იმ სემესტრის დასაწყისში რომელ სემესტრშიც შეუჩერდა სტატუსი და თავიდან იხდის დადგენილ სემესტრულ სწავლის საფასურს. (12.09.2016, №05-01/02)

3.3. ჰუმანიტარული და სოციალური მიმართულების სტუდენტებს, რომლებსაც სტატუსი შეუჩერდებათ სემესტრის დასაწყისში (ადმინისტრაციული რეგისტრაციის პირველივე ეტაპზე), უფლება აქვთ შიდა მობილობის ფარგლებში სტატუსი აღიდგინონ მომდევნო სემესტრის დასაწყისში. (12.09.2016, №05-01/02)

3.4. იმ შემთხვევაში თუკი სტატუსის შეჩერებიდან ერთი წლის შემდეგ სტუდენტის უფლებებში აღდგენა ვერ ხერხდება შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის იმავე ეტაპზე სადაც შეუჩერდა სტატუსი: სტუდენტს უფლება აქვს, მის მიერ გავლილი კრედიტების გათვალისწინებით, აღდგეს მონათესავე ან სხვა პროგრამაზე ან/და დაელოდოს პროგრამის შესაბამის ეტაპს. (12.09.2016, №05-01/02)

4. სტუდენტს სწავლის საფასურის გადაუხდელობის ან სხვა საფუძვლით სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის (გარიცხვის), სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის და/ან ინსტიტუტის ნებაყოფილობით დატოვების შემთხვევაში გასულ პერიოდში გადახდილი სწავლის საფასური უკან არ უბრუნდება.

5. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, საფინანსო სამსახურის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე ადმინისტრაციის ხელმძღვანელი შესაბამისი წარდგინებით მიმართავს რექტორს სტუდენტის სტატუსის შეჩერებისა ან შეწყვეტის (გარიცხვის) შესახებ ბრძანების გამოსაცემად.

6. სტუდენტი, რომელსაც სტუდენტის სტატუსი შეჩერებული აქვს ფინანსური დავალიანების გამო და მოითხოვს სტატუსის შეწყვეტას, ვალდებულია გადაიხადოს მასზე დარიცხული ფინანსური დავალიანება.

7. ადმინისტრაციული რეგისტრაციის გაუვლელობა ან ფინანსური დავალიანების გამო სტუდენტის სტატუსის შეჩერებიდან 5 წლის გასვლის შემდეგ ან იმ შემთხვევაში, თუკი სტუდენტი უარს აცხადებს დარიცხული სწავლის საფასურის გადახდაზე, მას უწყდება სტუდენტის სტატუსი.

8. ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის სტუდენტს, ერთი სასწავლო სემესტრის განმავლობაში 50 ლარამდე ოდენობით დავალიანების ფარგლებში, შეიძლება არ შეუჩერდეს სტუდენტის სტატუსი. (12.09.2016, №05-01/02)

## **მუხლი 6. სწავლის საფასური სასწავლო პროგრამის განმეორებით გავლისათვის**

1. სტუდენტის მიერ, მისივე გამოწვეული მიზეზით საგნის (კრედიტების) განმეორებით ათვისების საჭიროების შემთხვევაში, იმის მიხედვით, თუ რომელი საფეხურის

საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტია და რას შეადგენს მისი სწავლის ღირებულება (ტარიფი), სწავლის საფასურის გადახდა ადმინისტრაციული რეგისტრაციის პერიოდში ხორციელდება ასათვისებელი კრედიტების რაოდენობის შესაბამისად.

2. ერთიანი ეროვნული გამოცდებით ჩარიცხული სტუდენტი ერთი კრედიტის განმეორებითი სწავლისათვის იხდის:

- ა) სპეციალობაზე, სადაც სწავლის საფასურია 1800 ლარი - 30 ლარს
- ბ) სპეციალობაზე, სადაც სწავლის საფასურია 1500 ლარი - 25 ლარს
- გ) (ამოღებულია -22.03.2017, №05-05/01)
- დ) (ამოღებულია -22.03.2017, №05-05/01)
- ე) უცხო ქვეყნის მოქალაქე, სადაც სწავლის საფასურია 2250 ლარი - 37,50 ლარს

3. სტუდენტმა, რომელმაც ვერ მოიპოვა უნივერსიტეტის მიერ დადგენილი შეფასების წესით გათვალისწინებული მინიმალური ქულა, ვალდებულია გაიაროს სასწავლო პროგრამა განმეორებით, რისთვისაც ერთი კრედიტისათვის სტუდენტი ვალდებულია გადაიხადოს 1-ლი პუნქტით დადგენილი გადასახადი.

4. ამავე მუხლის 1 პუნქტით გათვალისწინებული წესი ვრცელდება კურსდამამთავრებელზე, რომელმაც სადიპლომომ ნაშრომის დაცვამდე/საკვალიფიკაციო გამოცდამდე შეასრულა პროგრამით (სილაბუსით) გათვალისწინებული მოთხოვნები, მაგრამ ვერ გავიდა სადიპლომომ ნაშრომის დაცვაზე ან/და საკვალიფიკაციო გამოცდაზე.

5. სადიპლომომ ნაშრომის ან/და საკვალიფიკაციო გამოცდ(ებ)ის განმეორებით მომზადებისათვის სტუდენტი ვალდებულია საგანმანათლებლო პროგრამისა და დიპლომის ხელმძღვანელის დასკვნის საფუძველზე გადაიხადოს დიპლომის ან/და საკვალიფიკაციო გამოცდ(ებ)ისათვის აუცილებელი საათების/კრედიტების ღირებულება. (28.07.2014, №04-01/03)

6. სტუდენტი განმეორებითი საგნის/საგნების ინდივიდუალური წესით გავლის შემთხვევაში დამატებით გადაიხდის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის და დეპარტამენტის ხელმძღვანელის მიერ დადგენილი საათების მიხედვით. (28.07.2014, №04-01/03)

#### **მუხლი 7. შეღავათები სწავლის საფასურში (01.09.2013, № 04-01/59)**

1. ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტში სწავლის საფასურის გადახდისაგან, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ვადით, თავისუფლდებიან:

- ა) მშობლების მზრუნველობას მოკლებული სტუდენტები (დედ-მამით ობოლი)
- ბ) სტიქიური უბედურების ან/და ხანძრის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახიდან მყოფი სტუდენტები.

2. სტუდენტთა კატეგორიას, რომლებიც აკმაყოფილებს ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი აკადემიური საბჭოს თანხმობით დასამტკიცებლად წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს.

3. წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ კანდიდატთა დამტკიცების შემდეგ ადმინისტრაციის ხელმძღვანელი გამოსცემს ბრძანებას სტუდენტისათვის სწავლის საფასურის გადახდისას შეღავათის მინიჭების შესახებ.

#### **მუხლი 8. გარდამავალი დებულებები**

- 1. ყველა სტუდენტი, რომელსაც უნივერსიტეტის წინაშე გააჩნია გასული

სემესტრის სწავლის საფასურის ნებისმიერი ოდენობით დავალიანება ვალდებულია სრულად გადაიხადოს იგი მომდევნო სასწავლო წლის დაწყებამდე;

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილ ვადაში ფინანსური ვალდებულების შესრულებლობის შემთხვევაში ადმინისტრაცია მოქმედებს ამ წესის მე-4 და 5 მუხლების შესაბამისად.

3. სტუდენტს, რომელსაც უნივერსიტეტის მიმართ გააჩნია ფინანსური დავალიანება, მაგრამ უკვე მინიჭებული აქვს აკადემიური ხარისხი (კვალიფიკაცია) ან გავლილი აქვს საგანმანათლებლო პროგრამა, ფინანსური ვალდებულების სრულად შესრულებამდე არ მიეცემა დიპლომი ან ცნობა საგანმანათლებლო პროგრამის მოსმენის შესახებ.

